არქივი დაამუშავეს

გვანცა კუპრაშვილმა და სესილი კაციტაძემ

## ლია ელიავა

ლია ელიავა დაიბადა თბილისში 1934 წლის 28 მაისს. ბავშვობა სოლოლაკში გაატარა, მამა შალვა ნესტორის ძე ელიავა, განათლებით ეკონომისტი, რამდენიმე ენას ფლობდა, უცხოეთში მუშაობდა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაქორწინდა ეკატერინე გიორგის ასულ კერესელიძეზე. ბატონი შალვა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მას იმელის მშენებლობის დაფინანსებასთან დაკავშირებით უთანხმოება მოუვიდა ლავრენტი ბერიასთან, რის შემდეგაც 1937 წელს დააპატიმრეს და დახვრიტეს. არც ქალბატონი ეკატერინე დაინდეს დააპატიმრეს და გადაასახლეს. ლია ბებია – ბაბუასთნ იზრდებოდა, „მიუხედავად სევდისა და ტკივილისა მუდამ განსაკუთრებულად ვიხსენებ ბავშვობას ბებია და ბაბუა მზრდიდნენ, დედაჩემის მშობლელბი, მათთან არის დაკავშირებიული ყველაზე ნათელი მოგონებები". დედა რომ დაბრუნდა ლია 17 წლის დახვდა.

1958 წელს დაამთავრა თბილისის მეორე საშუალო სკოლა. კინო და თეატრი ბავშვობიდანვე იზიდავდა, მსახიობობაზე ოცნებობდა. მისი ბედი ერთმა სასკოლო საღამომ გადაწყვიტა, სადაც როგორც მსახიობი წარსდგა მაყურებლის წინაშე. საღამოს დამდგელმა რეჟისორმა დაჟინებით მოთხოვა რომ იგი ამ გზას გაჰყოლოდა, ლიამ სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში ჩააბარა. პირველივე კურსზე დავით რონდელმა ფილმში „მწვერვალთა დამბყრობნი" ეპიზოდურ როლში ათამაშა. მალევე დაქორწინდა ქართველ ჟურნალისტზე, მაგრამ მათი ქორწინება ერთ წელიწადს გაგრძელდა. სწავლა მოსკოვში ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ისტიტუტში გაგრძელა. მოსკოვში სწავლის დროს ფილმ „ბაში აჩუკის" გადამღები ჯგუფი

ჩამოვიდა. რეჟისორმა ლეო ესაკიამ მიიწვია ფილმში სათამაშოდ, პარალელურად დავით რონდელმა მთავარ როლზე ფილმში „ჩრდილი გზაზე”.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოსკოვის ერთ – ერთ თეატრში დარჩენას სთავაზობდნენ, მაგრამ კინოსტუდია „ქართული ფილმის” შტატში მიიღეს, ამ მოწვევას სიხარულით დათანხმდა. დიდი ენთუზიაზმით დაუღალავად მუშაობდა ერთდროულად ორ ფილმზე და მაღალი პროფესიონალური ოსტატობით შექმნა დაუვიწყარი კინო სახეები ნინო - „ჩრდილი გზაზე” და ტყუპები პირი მზისა და პირი მთვარისა - „ბაში-აჩუკი”.

დავით რონდელი იწვევს მთავარ როლზე კინოფილმში „მამლუქი” სადაც პარტნიორობას უწევდა ოთარ კობერიძე, ფილმის გადაღების დროს იქორწინეს,შეეძინათ ქალიშვილი.

ლია ელიავას არტისტული ნიჭიერება, ქალურობა და მშვენიერება იბყრობს კინემატოგრაფიის ყურადღებას და ზედიზედ იწვევენ ფილმებში, მთელი რიგი საპასუხისმგებლო როლების შესასრულებლად. და ეს ხდება არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის მაშტაბით, არამედ მის საზღვრებს გარეთაც. პოპულარული მსახიობის ეკრანულ გმირებს მუდამ თან ახლავთ შინაგანი მომხიბვლელობა, სათნოება და ლირიკულობა, რაც ესოდენ ნიშანდობლივია მათი ავტორის პიროვნებისეული სამყაროსთვის.

დრამატული მსახიობი დიდი შემოქმედებითი დიაპაზონით, ქმნის მრავალ შესანიშნავ სახეს, ნანი ფილმში „განაჩენი” 1959 წელი. ელისო - ,შეწყვეტილი სიმღერა” 1960 წელი. ანნა ცალიკოვა „ირისტონის ვაჟი” (ლენფილმი 1960 წ.) ლეილა „ზღვის შვილები” – 1964 წ. ნატო „მალე გაზაფხული მოვა” 1967 წ. ქეთევანი „ მე ვხედავ მზეს” 1964 წ. „ქალაქი ადრე იღვიძებს” 1967 წ. თაკვე „ბრატია საროიან” (სასომხეთი 1969 წ.) შირინ ხანუმი „1001 გასტროლი” აზერბაიჯანი 1974 წ. და სხვა მრავალი საინტერესო როლი. აი რას ამბობს მსახიობი თავის შემოქმედებაზე- „ყოველი ახალი ფილმი ჩემთვის იყო ერთგვარი მოგზაურობა ცხოვრებაში წარსულში და დღევანდელობაში, ეს იყო უბრალო თუ რთული იღბლიანი თუ ტრაგიკული ადამიანური ბედის გაზიარება,

ყველა სახე რომელიც ეკრანზე შევქმენი, ძვირფასია ჩემთვის, რადგან თითოეული მათგანი ჩემი ცხოვრების ნაწილაკია. მათი ნაკლიც და ღირსებაც ყველაზე უკეთ მე ვიცი... ჩემი მეს ჩემი არსის გამოხატვა მთლიანობაში, ვფიქრობ შევძელი მაგრამ ისე არა, როგორც მინდოდა." „ჩემი შემოქმედებითი ბიოგრაფიის მანძილზე უარი არ მითქვამს სულ მცირე როლზეც კი რომელსაც მთავაზობდნენ, ვფიქრობდი, ყოველთვის შეიძლება საინტერესო სვლის, ფერების მოძებნა, მცირე ბიოგრაფიული შექმნა. 1960 წელს მიღებული აქვს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება. 1967 წ. საქართველოს სახლხო არტისტის.

გარდაიცვალა 1998 წლის 8 ოქტომბერს. დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

## ლია ელიავას პირადი საარქივო ფონდი

## ბიოგრაფიული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი მასალა

1. ვ. ბესიროზვანნოვისა და ლია ელიავას შრომითი ხელშეკრულება, კინოფილმში „კოსტა ხეთაგუროვი" ელიავას მიერ ანნას როლის შესრულებასთან დაკავშირებით.
   1959 წ. 2, 3 აპრილი. ნაბეჭდი. ლ. ელიავას ხელმოწერით. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 3 გვ.

2. ამონაწერი კულტურის პროფკავშირის პრეზდიუმის ცენტრალური კომიტეტის სხდომის ოქმიდან, ლია ელიავას საბჭოთა შეიარაღებული ჯარების კულტურულ – საშეფო მოღვაწეობაში აქტიური მონაწილეობისთვის მადლობის გამოცხადეის შესახებ.
   1959 წ. 23 აპრილი. ნაბეჭდი. პრეზდიუმის მდივნის გ. იუროვსკაიას ხელმოწერით. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე 1 გვ.

3. კარლოვი ვარის მე – 12 საერთაშორისო ფესტივალის ჟურნალის მთავარი რედაქტორის ო. ხადამეცის მიმართვა ლია ელიავასადმი, ფესტივალთან დაკავშირებით.
   1960 წ. 27 მაისი. სატიტულო ფურცელი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

4. ლია ელიავას ალმა – ატას საერთაშორისო კინოფესტივალის მანდატი.
   1973 წ. 24 აპრილი. სტამბური. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

5. საფრანგეთის ვიზა ლია ელიავას სახელზე.
   პირი: ა. მალაკოვი.
   1976 წ. 13 დეკემბერი. ნაბეჭდი. ხელმოწერები არ იკითხება. ბეჭედდასმული. ფრანგულ ენაზე. 1 გვ.

6. საქართველოს სსრ თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმის ცნობარი, ლია ელიავას შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.
   1985 წ. [?] ბლანკი. ნაბეჭდი. ლ. ელიავას ხელმოწერით. 4 გვ.

7. ლია ელიავას მოკლე ავტობიოგრაფია.
   1994 წ. თბილისი ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

8. ლია ელიავას კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი.
   უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. ხელით შევსებული. 4 გვ.

9. ლია ელიავას შემოქმედბითი ბარათი.

უთარიღო. ბლანკი. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. ქართულ და რუსულ ენებზე. 3 გვ.

10. ლია ელიავას განცხადება ვაკის რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე ვ. წერეთლისადმი, რეპრესირებულთა და მათი ახლობლების შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონთან დაკავშირებით.
უთარიღო. ხელნაწერი. 1 გვ.

11. ლია ელიავას სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის პირადი აღრიცხვის ფურცელი.
უთარიღო. ნაბეჭდი. ხელით შევსებული. რუსულ ენაზე. 4 გვ.

12. ლია ელიავას მონაწილეობით გადაღებული ფილმების ჩამონათვალი.
უთარიღო ხელნაწერი. 4 გვ.

13. ლია ელიავას მონაწილეობით გადაღებილი კინოფილმების ჩამონათვალი.
უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

## სიგელები, დიპლომები

14. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი პრეზიდიუმის მიერ გაცემული სიგელი ლია ელიავასადმი, სამეურნეო და კულტურულ დარგში მიღებული წარმატებისთვის.

1960 წ. 7 მარტი. თბილისი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: გ. ძოწენიძე, ზ. გელდიაშვილი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

15. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გაცემული სიგელი ლია ელიავასადმი, ხელოვნების დარგში ნაყოფიერ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.
1976 წ. 28 ივნისი. თბილისი. სტამბური. ხელს აწერენ: თ. ლაშქარაშვილი, პ. გელაშვილი. ბეჭედდასმული. ქართულ და რუსულ ენაზე. 1 ც.

16. გაგრის დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გაცემული საპატიო სიგელი ლია ელიავასადმი, ქართული კინოფილმების ფესტივალში აქტიურ მონაწილეობასთან დაკაშირებით.
1976 წ. 15 აგვისტო. სტამბური. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: ზ. აგრბა, ვ. ვლვიჩი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

17. არხანგელსკის ოლქის კინოფიკაციის კოლეგიის მიერ გაცემული სიგელი ლია ელიავასადმი, საბჭოთა კინოშემოქმედების ფესტივალში მონაწილეობისა და სამხედრო გარნიზონებში აქტიურ საშეფო მოღვაწეობისათვის.
1981 წ. 24 ივნისი. არხანგელსკი. სტამბური. ხელს აწერენ: ნ. მარკოვი, ა. ორევოსი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

18. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის დუბლირებული ფილმების პირველი დათვალიერება – ფესტივალის ჟიურის მიერ გაცემული დიპლომი ლია ელიავასადმი, მხატვრულ ფილმში „პირადი საქმე" ქალის როლის საუკეთსო შესრულებისთვის.

1984 წ. 23 დეკემბერი. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: რ. მირიანაშვილი, მ. კერესელიძე, ნ. სულავა, მ. მაისურაძე. ბეჭედდასმული. 1 ც.

19. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული საპატიო სიგელი ლია ელიავასადმი, ორგანოების პირადი შემადგენლობის იდეურ – ზნეობრივი აღზრდისა და მათი საქმიანობის პოპულარიზაციისათვის.
1985 წ. 10 ივნისი. სტამბური. ნაბეჭდი. გ. გვეტაძის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. 1 ც.

20. ლია ელიავასადმი გაცემული საპატიო სიგელი ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმებში: „ოჯახი", „ვინ არის მეოთხე", ბაგრატიონი".
1986 წ. 9 აპრილი. სტამბური. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 1 ც.

21. ოფიცერთა სახლის მიერ გაცემული სიგელი ლია ელიავასადმი, სამხედრო გარნიზონში საბჭოთა კინოს პროპაგანდისა და სამოყვარულო კლუბისათვის „ეკრანი" გაწეული დახმარებისათვის.
1986 წ. 22 თებერვალი. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. კოსტინის ხელმოწერით. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 გვ.

22. საერთაშორისო კინოფესტივალის „ჟენსკი მირ" საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაცემული დიპლომი ლია ელიავასადმი, კინოხელოვნებაში მიღწეული წარმატებებისა და მაყურებლისთვის სილამაზის და სიხარულის მინიჭებასთან დაკავშირებით.

უთარიღო. სტამბური. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი ვ. კადნნკოვი, სამხატვრო ხელმძღვანელი ვ. გერჩიკოვი. ბეჭედდასმული. რუსულ ენაზე. 1 ც.

23. საქართველოს კომუნისტური პარტიის საქარხნო რაიკომის მიერ გაცემული საპატიო სიგელი ლია ელიავასადმი, კულტურულ ღონიზძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის.
უთარიღო. თბილისი. სტამბური. ნაბეჭდი. ხელს აწერენ: კაპანაძე, შოშიტაიშვილი, ბეჭედდასმული რუსულ ენაზე. 1 ც.

**შემოქმედებითი მოღვაწეობის ამსახველი მასალა**

24. ლია ელიავას მოთხრობა „შემთხვევა" (მერვე კლასში სწავლის დროს დაწერილი).
უთარიღო ხელნაწერი. 10 გვ.

25. ამონაწერი ლია ელიავას ინტერვიუდან, მის შემოქმედებასთან დაკავშირებით.
უთარიღო. ხელნაწერი. 4 გვ.

**ჩანაწერები.**

26. ლია ელიავასა და მისი თანაკლასელის მედეა სამადაშვილი

ჩანაწერები. (მეგობრობის დღიური. ხუთშაბათი, ისტორიის გაკვეთილი).

1950 წ. 16 თებერვალი. ხელნაწერი. მელანი. 4 გვ.

27. ლია ელიავას ჩანაწერები, მის შემოქმედებასთან დაკავშირებით.

უთარიღო. ავტოგრაფი. 12 გვ.

## მოგონებები ლია ელიავასთან დაკავშირებით.

28. სანდრო მამასახლისის მოგონება „მისი სულის სინათლე" ლია ელიავას შესახებ.

2003 წ. 15 მაისი. კასპი. ნაბეჭდი. ს. მამასახლისის ხელმოწერით. 2 გვ.

29. მარინე კერესელიძის მოგონება ლია ელიავას შესახებ.

პირი: გაბრიელ გარსია მარკესი, ლევან ლაღიძე.

2003 წ. მაისი. ავტოგრაფი. 5 გვ.

30. კინორეჟისორ ლიანა ელიავას მოგონება „გულგატეხილი მშვენიერება" ლია ელიავასთან დაკავშირებით.

2004 წ. [?] ჰელსინკი. ნაბეჭდი. 2 გვ.

31. ზაირა არსენიშვილის მოგონება „ ლია ელიავას მოგონებისთვის”.

პირი: ლია ანდღულაძე.

უთარიღო. ხელნაწერი. ზ. არსენიშვილის ხელმოწერით. 2 გვ.

32. ნანა ჯანელიძის მოგონება ლია ელიავას შესახებ, კინოფილმზე მუშაობასთან დაკავშირებით.

უთარიღო. ნაბეჭდი. ხელით ჩასწორებული. 3 გვ.

33. თ. გორგაძის მოგონება „კინოვარსკვლავი ჭადრაკში” ლია ელიავას შესახებ.

პირი: მამულაშვილი, ნ. გაბუნია.

უთარიღო. ხელნაწერი. თ. გორგაძის ხელმოწერით. 1 გვ.

34. მერაბ ბერძენიშვილის მოგონება ლია ელიავას შესახებ.

უთარიღო. ნაბეჭდი. 1 გვ.

35. მეგობრის მოგონება ლია ელიავას შემოქმედებასთან დაკავშირებით.

უთარიღო. ხელნაწერი. 2 გვ.

36. ღაღეთაშვილი სალომეს მოგონება ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

უთარიღო ავტოგაფი. 1 გვ.

37. უცნობი პირის მოგონება ლია ელიავას შესახებ.

პირი: ოკუჯავა, ახმატოვა.

უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

38. უცნობი პირის მოგონება ლია ელიავას შესახებ.

უთარიღო. ხელნაწერი. 1 გვ.

39. გიული ჭოხონელიძის მოგონება ლია ელიავას შესახებ.

პირი: გ. სანაძე, ვ. ოკუჯავა, ნ. ბერიკაშვილი, კ. ჯაფარიძე, ზ. ნიჟარაძე, ს. ნილოვი, დრიჟნიკოვი, კუზნეცოვი, ლეილა აბაშიძე, ოთარ კობერიძე, გოლუბცევა.

უთარიღო. ავტოგრაფი. 3 გვ.

40. ზურაბ მანაგაძის მოგონება „ლია ელიავა".

პირი: ი. ქავთარაძე, გ. თოხაძე, იპოლიტე კორძაძე, ვასილ ამაშუკელი, მ. მერაბიშვილი, რ. გვეტაძე.

უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

41. ზაირა არსენიშვილის მოგონება ლია ელიავას შესახებ.

პირი: ლია ანდღულაძე, ნიკო კეცხოველი.

უთარიღო. ავტოგრაფი. 3 გვ.

42. ლილი იოსელიანის მოგონება ლია ელიავასთან დაკავშირებით.

პირი: დოდო ჭიჭინაძე.

უთარიღო. ხელნაწერი. 3 გვ.

43. აკაკი დვალიშვილის მოგონება ლია ელიავას შემოქმედებასთნ დაკავშირებით.

უთარიღო. ავტოგრაფი. 2 გვ.

## ლექსები მიძღვნილი ლია ელიავასადმი.

44. ქუთაისის მუსიკალური ტექნიკუმის მეორე კურსის მოსწავლის ქეთევან მელქაძის ლექსი მიძღვნილი ლია ელიავასადმი.

1960 წ. 13 ოქტომბერი. ავტოგრაფი. 2 გვ.

45. თაყვანისმცემელ ვასოს ლექსი მიძღვნილი ლია ელიავასადმი.

1960 წ. 20 ნოემბერი. ნაბეჭდი. 1 გვ.

46. ა. დოლიძის ლექსი მიძღვნილი ლია ელიავასადმი.

1964 წ. 26 მაისი. ბათუმი. ხელნაწერი. 1 გვ.

47. ბორის რადევის ლექსი მიძღვნილი ლია ელიავასადმი.

1966 წ. 22 ნოემბერი. ნაბეჭდი. რადევის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 2 გვ.

48. საქართველოს სსრ ინფორმაციისა და რეკლამირების ბიუროს ხელმძღვანელობის მიერ გაგზავნილი პეტ გონტარის ლექსები ლია ელიავასადმი.

1971 წ. 22 დეკემბერი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

49. ლუიზა ჯუღელის ლექსი ლია ელიავასა და მისი კოლეგებისადმი, ბათუმში სტუმრობასთან დაკავშირებით.

1996 წ. 8 მარტი. ავტოგრაფი. 3 გვ.

50. ბელა შალვაშვილის ლექსი, მიძღვნილი ლია ელიავასადმი.

1998 წ. 10 ოქტომბერი. ხელნაწერი. გ. შალვაშვილის ხელმოწერით. 1 გვ.

51. უცნობი ავტორის ლექსი სადაც ლია ელიავაა მოხსენიებული.

უთარიღო. ხელნაწერი. 1 გვ.

52. მზია ნავროზაშვილის ლექსი მიძღვნილი ლია ელიავას ხსოვნისადმი.

უთარიღო. ავტოგრაფი. 1 გვ.

53. უცნობი ავტორის ლექსი მიძღვნილი ლია ელიავასადმი.

უთარიღო. ხელნაწერი. 1 გვ.

54. ეთერ ავაზაშვილის ლექსები ციკლიდან „ მცხეთის გზებზე ნანატრი", მოძღვნილი ლია ელიავასა და ოთარ კობერიძისადმი.

უთარიღო. ხელნაწერი. 3 გვ.

## წერილები

### ლია ელიავას წერილები

55. ლია ელიავასა და ნანას პირადი ხასიათის წერილი ოთარ კობერიძისადმი.

[?] 27 ივლისი. ხელნაწერი. ქართულ და რუსულ ენებზე. 4 გვ.

### პირადი ხასიათის წერილები ლია ელიავასადმი

56. დედის [ეკატერინე] პირადი ხასიათის წერილი ლიასა და ოთარისადმი.

1959 წ. 8 ნოემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ფანქარი. 4 გვ.

57. დედის [ეკატერინე] პირადი ხასიათის წერილი ლიასა და ოთარისადმი.

1959 წ. 20 ნოემბერი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

58. დედის [ეკატერინე] პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

1960 წ. 4 იანვარი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. ფანქარი. 4 გვ.

59. ვ –ს. პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

1961 წ. 26 მარტი. მოსკოვი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

60. ლიკას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

1964 წ. 23 ივლისი. იერუსალიმი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

61. როზა ბაღასიანის პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

1968 წ. 11 დეკემბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

62. [ ბასიას ] პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

პირი: ლანა, ლენა, დიანა.

1971 წ. 30 ივლისი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

63. დინარას პირდი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

1972 წ. 2 იანვარი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

64. დინარას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

პირი: გ. ჟვანია.

1972 წ. 24 ოქტომბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

65. ლიკას პირადი ხასითის წერილი ლია ელიავასა და მისი მეგობრებისადმი.

1972 წ. 10 ნოემბერი. აშკელონი. ავტოგრაფი. 2 გვ.

66. ლიკას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

1972 წ. 9 დეკემბერი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

67. დინარას პირადი ხასათის წერილი ლია ელიავასადმი.

1973 წ. 13 იანვარი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

68. დინარას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

1973 წ. 2 იანვარი. ირანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

69. დინარას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

1973 წ. 12 თებერვალი. ირანი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

70. ლიკას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

პირი: ქეთუშა, ნანა.

1974 წ. 17 იანვარი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ. ერთვის კონვერტი.

71. „ბასია”- ს პირადი ხასიათის წერილი ლიასა და ნანასადმი.

1976 წ. 6 აგვისტო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

72. ლიკას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

პირი: ლარისა, ანუშკა, ლევ მილოსლავსკი, ლალი, ტერეზა, ნანა, ოთარი.

1978 წ. 14 მარტი. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 8 გვ.

73. ფატის პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

პირი: ოთარი, ნანა.

1982 წ. 12 ნოემბერი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

74. ნათელა ურუშაძის პირადი ხასათის წერილი ლია ელიავასადმი,

ლ. ელიავას გარდაცვალების შემდეგ მიწერილი.

2002 წ. 23 ნოემბერი. ნაბეჭდი. ნ. ურუშაძის ხელმოწერით. 2 გვ.

75. დინარას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

[?] 1 იანვარი. ხელნაწრი. რუსულ ენაზე. 6 გვ.

76. ჟენიას პირადი ხასიათის წერილი ლიასა და ოთარისადმი.

[?] 16 თებერვალი.

ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

77. დინარას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

[?] 14 მარტი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

78. დინარას პირადი ხასიათის წერლი ლია ელიავასადმი.

[?] 14 ნოემბერი. ირანი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

79. დედის [ეკატერინე] პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

[?] 12 დეკემბერი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

80. ოთარ კობერიძის პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი. უთარიღო. ავტოგრაფი. ფანქარი. რუსულ ენაზე. 5 გვ.

81. პავლეს პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

82. მზია კვირიკაშვილის პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

უთარიღო. ავტოგრაფი. 1 გვ.

83. შალვა ართმელიძის პირადი ხასათის წერლი ლია ელიავასადმი.

უთარიღო. ავტოგრაფი. 1 გვ.

84. დინარას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

85. მეგობრების: ლარისას, ელისოს, ლალისა და მელიტას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი.

უთარიღო. ხელნაწერი. 2 გვ.

86. ტედი დოლიძის პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასადმი. უთარიღო. ავტოგრაფი. 1 გვ. ერთვის ხელნაკეთი კონვერტი.

87. „ ბუკა, ბალია, ბასია"-ს პირადი ხასიათის წერილი ლიასა და ნანასადმი.

უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

88. დინარას პირადი ხასიათის წერილი ლია ელიავასა და ოთარ კობერიძისადმი.

უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

## წერილები ლია ელიავასადმი.

89. ი. ტრიჩევის წერილი ლია ელიავასადმი, ფოტოს ავტოგრაფით გაგზავნასთან დაკავშირებით.

1957 წ. [?] გორლოვკა. ხელნაწერი. მეანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

90. ნათელა ბეჟანიშვილის წერილი ლია ელიავასადმი, ი. ჭავჭავაძის დაბდების 120 წლის იუბილეზე მიწვევასთან დაკავშირებით.

1957 წ. [?] ხელნაწერი. ნ. ბეჟანიშვილის ხელმოწერით. მელანი. 4 გვ.

91. უცნობი პირის წერილი ლია ელიავასადმი, ბილეთების გაგზავნასთან დაკავშირებით.

1959 წ. 17 ივნისი. პრაღა. ხელნაწერი. გვარი არ იკითხება. რუსულ ენაზე. 1 გვ.

92. კინომსახიობთა ფაკულტეტის სტუდენტ ივეტას წერილი ლია ელიავასა და ოთარ კობერიძისადმი, მათ მიერ საუკეთესოდ განხორციელებული როლების შესახებ.

1959 წ. 23 სექტემბერი. ერევანი. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

93. ოლგა მალეივსკაიას წერილი ლია ელიავასადმი, ჩეხოსლოვაკიაში ვიზიტთან დაკავშირებით.

1959 წ. 3 ოქტომბერი. ჩეხოსლოვაკია. ოლგა მალევსკაიას ხელმოწერით. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

94. საიდიუშკა აინეტდინოვას წერილი ლია ელიავასადმი, მის მიერ საუკეთესოდ განხორციელებული როლების შესახებ. (წერილს ერთვის ს. აინეტ დინოვას თხოვნა ლია ელიავასთვის პირადად ამ წერილის გადაცემასთან დაკავშირებით).

1961 წ. 24 იანვარი. პენზენსკის ოლქი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

95. ვ. პოიოვის წერილი ლია ელიავასადმი, კინოფილმში „შეწყვეტილი სიმღერა" მის მიერ შესრულებულ როლთან დაკავშირებთ.

1961 წ. 27 მარტი. ბულგარეთი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

96. დონარა არუთინიანის წერილი ლია ელიავასდმი, სამახსოვრო ფოტოს გაგზავნასთან დაკავშირებით.

პირი: დოდო აბაშიძე, გივი თოხაძე.

1962 წ. 22 აპრილი. ხელნაწერი.მელანი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

97. ქუთაისელი თაყვანისმცემლის ახალი წლის მისალოცი წერილი ლია ელიავასადმი. (მიწერილია ლექსი).

1964 წ. 29 დეკემბერი. ავტოგრაფი. 2 გვ.

98. ჟოზეფ სიტოვარის წერილი ლია ელიავასადმი, სამახსოვრო ფოტოს ავტოგრაფით გაგზავნასთან დაკავშირეით.

1966 წ. 17 თებერვალი. უნგრეთი. ხელნაწერი. ნაბეჭდი. ავტოგრაფი. რუსულ და ინგლისურ ენებზე. 2 გვ.

99. გაზეთის „უზბეკისტან მადანიატი" რედაქტორის ლ. კაიუმოვის საქმიანი წერილი ლია ელიავასადმი, ტაშკენტის საერთაშორისო კინოფესტივალის შესახებ შთაბეჭდილებისა და სამომავლო გეგმების წერილობით გაგზავნასთან დაკავშირებით.

1970 წ. 16 ივლისი. ბლანკი. ლ. კაიუმოვის ხელმოწერით. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

100. ვახტანგ ბერიძის სამძიმრის წერილი ლია ელიავასადმი.

1973 წ. 13 ივლისი. ავტოგრაფი. 2 გვ.

101. ვ. კოჩერიანის წერილი ლია ელიავასადმი, სამახსოვროდ ავტოგრაფის გაგზავნასთან დაკავშირებით.

1981 წ. 4 ოქტომბერი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე.

2 გვ.

102. იაკო ლილეორგის წერილი ლია ელიავასადმი, სამახსოვრო ფოტოს ავტოგრაფით გაგზავნასთან დაკავშირებით.

1982 წ. 18 თებერვალი. ტალინი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

103. რიტას წერილი ლია ელიავასადმი, მისი შვილის საქართველოში სამოგზაუროდ ჩასვლასთან დაკავშირებით.

1985 წ. 3 მაისი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 4 გვ.

104. დრაგოსლა მახალას წერილი ლია ელიავასადმი, ჟურნალისთვის „კინო და თეატრი" კითხვაზე პასუხისა და ფოტო მასალის გაგზავნასთან დაკავშირებით.

1986 წ. 11 იანვარი. ხელნაწერი. დ. მახალას ხელმოწერით. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

105. ეთერ ავაზაშვილის წერილი ლია ელიავასადმი, თეატრში მომხდარ სიახლეებსა და თამარ წულუკიძის მინსკში გამგზავრებასთან დაკავშირებით.

პირი: თ. მაღრაძე, ზ. სიხარულიძე.

1986 წ. 19 მარტი. ახალციხე. ხელნაწერი. ე. ავაზაშვილის ხელმოწერით მელანი. 2 გვ.

106. სენ ანტო არგოვილის წერილი ლია ელიავასადმი, სამახსოვრო ფოტოს ავტოგრაფით გაგზავნასთან დაკავშირებით.

1987 წ. 19 მაისი. ხელნაწერი. სენ ანტო არგოვილის ხელმოწერით. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

107. უცნობი თაყვანისმცემლის წერილი ლია ელიავასადმი, სამახსოვრო ფოტოს ავტოგრაფით გაგზავნასთან დაკავშირებით.

1987 წ. 1 სექტემბერი. ვერბლუჟე. ხელნაწერი. ავტოგრაფი.მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

108. ქუთაისის №1 სშუალო სკოლის წერილი ლია ელიავასა და ოთარ კობერიძისადმი, რესპუბლიკურ კვირეულზე „თეატრი და ბავშვები" მიწვევასთან დაკავშირებით.

1987 წ. 5 ნოემბერი. ქუთაისი. ხელნაწერი. მელანი. 1 გვ.

109. ვალერი ბროკოლევიჩის ქალთა საერთაშორისო დღის 8 მარტის მისალოცი წერილი ლია ელიავასადმი.

1988 წ. 13 თებერვალი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

110. კონსტანტინე პიპინაშვილის მინაწერი ( კინოფილმის „ზღვის შვილები" სცენარის პირველ გვერდზე ) ლია ელიავასადმი, ურთიერთ თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

[?] 18 თებერვალი. ავტოგრაფი. ნაბეჭდი. 1 გვ.

111. ნატალია მოროზოვას წერილი ლია ელიავასადმი, სამახსოვრო ფოტოს ავტოგრაფით გაგზავნასთან დაკავშიებთ.

უთარიღო. მოსკოვი. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

112. ბადრი ჩამაკაურის მადლობის წერილი ლია ელიავასადმი, წერილისა და სურათის გაგზავნასთან დაკავშირებით.

[?]11 ივნისი. ხელნაწერი. მელანი. 8 გვ.

113. სვეტლანა აზდრეევას წერილი ლია ელიავასადმი, მისი კოლექციის გასამდიდრებლად ფოტოს ავტოგრაფით გაგზავნასთან დაკავშირებით.

უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

114. ხელვეს ილზეეს წერილი ლია ელიავასადმი, სამახსოვრო ფოტოს ავტოგრაფით გაგზავნასთან დაკავშირებით.

უთარიღო. ავტოგრაფი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

115. ქართველი თანამემამულის სანდროს [?] მადლობის წერილი ლია ელიავასადმი, წერილის გაგზავნასთან დაკავშირებით.

უთარიღო. ურალი. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 2 გვ.

116. ტატა მაჩაბელის წერილი ლია ელიავასადმი, კატიუშას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

უთარიღო. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 2 გვ. ერთვის კონვერტი.

117. რეჟისორ ს. ცივინკოს წერილი ლია ელიავასადმი, საბჭოთა და უზბეკეთის სახელმწიფო კომიტეტის მიერ კინოფილმის „ ორიონის მარყუჟი" მიღებასთან დაკავშირებით.

უთარიღო. ბლანკი. ხელნაწერი. ცივინკოს ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 გვ.

118. მეგობრის წერილი ლია ელიავასადმი, საფრანგეთის ვიზის გაგზავნასთან დაკავშირებით.

პირი: ანდრეი, პიერი.

უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

119. რობერტ გოგოლაძის წერილი ლია ელიავასადმი, უგზავნის ჟურნალს სადაც ქართული კინოს მასალებია გამოქვეყნებული.

უთარიღო. მოსკოვი. ბლანკი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

120. თაყვანისმცემლის ევგენი კალინინის წერილი ლია ელიავასადმი, მის შემოქმედებასთან დაკავშირებთ.

უთარიღო. ხელნაწერი. მელანი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

121. საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის სამდივნოს წერილი ლია ელიავასადმი, დაბადების დღესთან დაკავშირებით.

უთარიღო. ნაბეჭდი. 2 გვ.

## ღია ბარათები

122. უცნობი პირის პირადი ხასიათის ღია ბარათი ლია ელიავასადმი.

1982 წ. 28 მარტი. იერუსალიმი. სტამბური. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

123. მაია ზელინეკას ახალი წლის მისალოცი ღია ბარათი ლია ელიავასადმი.

უთარიღო. სტამბური. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 1 ც.

124. ვიქტორ კაზინის ახალი წლის მისალოცი ღია ბარათი ლია ელიავასადმი.

უთარიღო. მოსკოვი. სტამბური. ნაბეჭდი. ვ. კაზინის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ც.

125. ვიქტორ კაზინის ქალთა საერთაშორისო დღის მისალოცი ღია ბარათი ლია ელიავასადმი.

უთარიღო. სტამბური. ნაბეჭდი. ვ. კაზინის ხელმოწერით. რუსულ ენაზე. 1 ც.

126. მარინას პირადი ხასიათის ღია ბარათი ლია ელიავასადმი.

უთარიღო. სტამბური. ავტოგრაფი. რუსულ ენაზე. 1 ც.

## მოსაწვევი ბარათები

127. საბჭოთა კინოს მსახიობების პირველი საერთაშორისო ფესტივალის „ სოზვეზდიე – 89" საორგანიზაციო კომიტეტის მოსაწვევი ბარათი ლია ელიავასადმი, ფესტივალზე მონაწილეობასთან დაკავშირებით.

1989 წ. 13 – 19 თებერვალი. სტამბური. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

## დეპეშები

## პირადი ხასიათის დეპეშები

128. ლია ელიავასა და ნანას პირადი ხასიათის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი.

[?] 16 აგვისტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

129. ლია ელიავასა და ნანას პირადი ხასიათის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი.

31 [?] თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

130. მაგარაჯა მეხტი ზადეს  პირადი ხასიათის დეპეშა ლია ელიავასადმი.

უთარიღო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

## მისალოცი დეპეშები ლია ელიავასადმი

131. კულიკანოვის მისალოცი დეპეშა ლია ელიავასადმი, იუბილესთან დაკავშირებით.

1950 წ. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 გვ.

132. ელენე ახვლედიანის მისალოცი დეპეშა ლია ელიავასადმი, შემოქმედებით წარმატებასთან დაკავშირებით.

1964 წ. 12 [?] თბილისი. ნაბეჭდი. რუსულ ენა. 1 ც.

133. მედეას მისალოცი დეპეშა ლია ელიავასადმი, შეოქმედებით წარმატე ბასთან დაკავშირებით.

1964 წ. 12 [?] ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

134. ელენ კიკის მისალოცი დეპეშა ლია ელიავასადმი, შემოქმედებით წარმატებასთან დაკავშირებით.

1964 წ. 12 [?]. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

135. დიდიმის მისალოცი დეპეშა ლია ელიავასადმი, შემოქმედებით წარმატებასთან დაკავშირებით.

1964 წ. 12 [?]. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

136. საქართველოს სსრ კინემატოგრაფისტთა კავშირის დაბადების დღის მისალოცი დეპეშა ლია ელიავასადმი.

1981 წ. 31 მაისი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

137. იაკოვ ვარშავსკის ახალი წლის მისალოცი დეპეშა ლია ელიავასა და ოთარ კობერიძისადმი.

[?] 31 [?] მოსკოვი. რუსულ ენაზე. 1 ც.

138. უცნობი პირის დაბადების დღის მისალოცი დეპეშა ლია ელიავასადმი.

[?]. ლენინგრადი. ფოტო. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

139. ოთარ კობერიძის მისალოცი დეპეშა ლია ელიავასადმი, დამსახურებული არტისიტის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

უთარიღო. მოსკოვი. ნაბეჭდი. ფოტო. 1 ც. ერთვის კონვერტი.

სამძიმრის დეპეშები ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

140. სასტუმრო ლოტოსისი თანამშრომლების სამძიმრის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 11 ოქტომბერი. ბათუმი. ნაბეჭდი. 1 ც.

141. ბაბულია, ვენერა და თინა ლორთქიფანიძეების სამძიმრის დეპეშა ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 11 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 ც.

142 წ. ბიბო ბატაევის სამძიმრის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებთ.

1998 წ. 12 ოქტომბერი. ვლადიკავკაზი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

143. არიადნა შენგელაიას სამძიმრის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი, ლია ელიავას გარაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 12 ოქტომბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

144. საბჭოთა კინემატოგრაფისტების ( ჩრდილო კავკასია) სამძიმრის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 12 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

145. დავით ცევაძის სამძიმრის დეპეშა ნანა და ოთარ კობერიძეებისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 12 ოქტომბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

146. ტედეევის , კარაევისა და გუსოევის სამძიმრის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 13 ოქტომბერი. ვლადიკავკაზი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

147. ნესტან კვეიძის სამძიმრის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებსთან დაკავშირებით.

1998 წ. 13 ოქტომბერი. ქუთაისი. ნაბეჭდი. 1 ც.

148. გოგი ლობჟანიძის სამძიმრის დეპეშა ოთარ კობერიძესა და ლოლა ბენდიანიშვილისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 13 ოქტომბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 ც.

149. რიმა და გრიშა ბაგდასარიანის სამძიმრის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 13 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენა. 1 ც.

150. ნატაშას, ანდროს გენოსა და ნელის სამძიმრის დეპეშა კობერიძეებისა და ელიავების ოჯახისადმი, ლია ელიავას გარაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 14 ოქტომბერი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

151. მარინე წურწუმიას სამძიმრის დეპეშა კობერიძეებისა და ელიავების ოჯახებისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 29 ოქტომბერი. მოსკოვი. ნაბეჭდი. რუსულ ენაზე. 1 ც.

152. ხათუნა წერეთლის სამძიმრის დეპეშა ნანა კობერიძისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 12 ნოემბერი. თბილისი. ნაბეჭდი. 1 ც.

153. ოთარ და მერი ჩარკვიანების სამძიმრის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. [?]. ბათუმი. ნაბეჭდი. 1 ც.

154. გიგა ჯაფარიძის სამძიმრის დეპეშა ოთარ კობერიძისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

[ 1998 წ.] თბილისი. ნაბეჭდი. ხელნაწრი. 1 ც.

## სხვადასხვა

155. ჯანსუღ და ვანდა კახიძეების სამძიმრის წერილი ოთარ და ნანა კობერიძეებისადმი, ლია ელიავას გარაცვალებასთან დაკავშირებით.

1998 წ. 12 ოქტომბერი. ნაბეჭდი. ასლი. ქართულ და იტალიურ ენებზე. 1 გვ.

156. რეჟისორ ლიანა ელიავას წერილი ნანასადმი, ლია ელივასთან დაკავშირებით.

2004 წ. 18 ივნისი. ჰელსინკი. ავტოგრაფი. 1 გვ.

157. უცნობი პირის ჩანაწერი ლია ელიავას შემოქმედების შესახებ.

უთარიღო. ხელნაწერი. რუსულ ენაზე. 3 გვ.

158. ნანა კობერიძის ჩანაწერი ლია ელიავას შესახებ.

უთარიღო. ხელნაწერი. 1 გვ.

159. უცნობი პირის ჩანაწერები ლია ელიავას კინოფილმში ნათამაშები როლების შესახებ.

უთარიღო. ხელნაწერი. 2 გვ.

160. კინოფილმის „ მამლუქი” სარეკლამო ფურცელი.

უთარიღო. სტამბური. ნაბეჭდი. ინგლისურ ენაზე. 1 ც.

161. ედუარდ შევარდნაძის სამძიმრის წერილი ოთარ კობერიძისადმი, ლია ელიავას გარდაცვალებასთან დაკავშირებით.

უთარიღო. სატიტულო ფურცელი. ნაბეჭდი. ე. შევარდნაძის ხელმოწერით.

162. ლია ელიავას შესახებ გამოცემული წიგნის სამუშაო ვარიანტი.

უთარიღო. ნაბეჭდი. ჩასწორებებით. 30 გვ.

**პრესა.**